№ 244
1877

ივერია

№ 244
1903

ნოემბერი 14, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 14, პარასკევი 1903 წ.

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამო კვირას, 16 ნოემბერს.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, **სახლი № 10.**

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—3)

წარმოდგენა № 18. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 16 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

დრ. 5 მოქმ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ვ. აბაშიძის საბენეფისოდ ახალი პიესა «ქმართა სკოლა», რეჟისორი **აკაკი.**

წარმოდგენა № 19. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 ნოემბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ვ. აბაშიძის საბენეფისოდ

ახალი პიესა

I

ქმართა სკოლა

კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თ. მაჭავარიანისა.

II

ფული და ხარისხი

ვოდ. 3 მოქ. აზიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითიშვილი, ა. კარგარეთელისა, ა. ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 14 **ნოემბერს** 1903 **წ.**

ნ. ფიგნერისა და ცნობილის ბარიტონის ჯირალდონის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

რუსლან და ლუდმილა

ოპერა 5 მოქ. და 8 სურ მუსიკა გლინკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ლევინა, კარტავინა, კალილინა, ლელინა. ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ამირჯანი, სანგურსკი და გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: შაბათს, 15 ნოემბერს, მეშვიდე წარმოდგენა—გალა. წარმოდგენილ იქმნება ნ. ფიგნერისა და ჯირალდინის მონაწილეობით «სოფლის პატივი».

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლოლიძესთან

ორი პუბლიცისტიური წერილი

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—3)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 46.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

⁂ დღეს, 14 ნოემბერს, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღესასწაულს, სამხედრო წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილი იქმნება პარაკლისი, რომელსაც გადიხდის ყოვლად სამღვდელო ბენიამინი, ეპისკოპოზი გორისა. წირვა დაიწყება 9 საათზე.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „მისმა ბრწყინვალებამ ღამე კარგად გაატარა. სიცხე დილით 37,6 ჰქონდა, საღამოთი 38,8. მაჯის ცემა 76. ანთებამ მცირე ადგილი დაიჭირა კისერზე. მადა ემატება. ჭრილობანი ურჩება. ხელს აწერენ: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

12 ნოემბერს, საღამოს 8 ს.

⁂ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს წევრი დეკანოზი პეტრე კონჩუაშვილი წევრობას თავს ანებებს.

⁂ სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია, როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, სამეგრელოს ეპარქიას გურია ჩამოეცალოს და იმერეთის ეპარქიას შეუერთდეს.

⁂ მუხრანის ხიდის გადებას მდინარე მტკვარზე ისე მალე ველარ შეუდგებიან, როგორც საფიქრებელი იყო, რადგან ახალი დაბრკოლება გამოჩნდა. რიყის მხრივ კერძო შენობა უნდა აიღონ და ქუჩა გააფართოვონ. ამ მამულის პატრონი ახნაზაროვი ნებაყოფლობით არ უთმობს. ქალაქის სამმართველომ განიზრახა შუამდგომლობა აღძრას, რომ მამული პატრონს ჩამოერთვას კანონიერის წესით და, როგორც დაფასდება, იმის კვალობაზედ უზღოს. კომისიას დაუფასებია საჟენი მიწა შენობებით 50 მანეთად. პატრონი ამასაც არა თანხმდება და ერთს დეპუტატს-კი განუცხადებია 30 მანეთზე მეტი არა ღირს საჟენიო. რადგან ამრიგად საქმე გვიანდება, ქალაქის სამმართველოს დაუდგენია 40 მანეთი შეაძლიოს საჟენში. სულ საჭიროა 942 საჟენი მიწა.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლა თანდათან გახშირდა და მაინც ბარგისა და საქონლის ზიდვას ვერ აზდის. ხარჯიც მიმოსვლის კვალობაზე ემატება, ასე რომ წელს სავარაუდო ხარჯთა-აღრიცხვით სამინისტროსაგან გადადებული ფული არა ჰყოფნის. ამის გამო რკინის გზის სამმართველოს საჭიროდ უცვნია და დაუდგენია კიდეც იშუამდგომლოს სახაზინო რკინის გზების უფროს გამგეობის წინაშე, რომ წლევანდელ ხარჯის დასაფარავად კიდევ გადიდოს **1,664,611** მანეთი და 5 კაპ.

⁂ გაზეთი „ჩერ. ვესტ.“ იუწყება, ვითომც სოხუმის ეპარქია საქართველოს საექსარხოსოს ჩამოერთმევა და დამოუკიდებელ საეპისკოპოზოდ იქმნება და ვითომც სვანეთი სოხუმს უნდა მიეწეროსო. დაუჯერებელი ამბავია, რადგან სოხუმის ეპარქია, როგორც სხვა ცნობებიდგან ვიცით, სასულიერო მთავრობას არ განუცალკევებია და ოდესმე რომ განშორდეს კიდეც, რა საფიქრებელია სვანეთი სოხუმს დაუკავშირონ, როდესაც მათ შუა და უფრო ახლოც სამი სხვა ეპარქია აკრავს. არა გვგონია ოპერეტის არტისტმა ტყუილის ხმებით თავის სურვილს მიაღწიოს.

⁂ იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამჟამად სოხუმის ეპარქიაში წირვა-ლოცვა ყველგან სლავიანურს ენაზედ სრულდებაო, გარდა სამის ეკკლესიისა, რომლებშიაც წირვა-ლოცვა ადგილობრივს ენებზედ (?!) სწარმოებსო.

⁂ ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო კრებაზედ გადუწყვეტიათ ქალაქის ხარჯით დაიქირაონ შესაფერი სახლი ეპისკოპოზისა და მის კანცელიარიისათვის.

⁂ ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დაუდგენია საჯაროდ გაჰყიდოს ის მამულები, რომლის პატრონებმა სახელმწიფო, საერო და სხვა გარდასახადები არ შეიტანეს ხაზინაში წლინახევრის განმავლობაში მამულებს ასწერენ, დააფასებენ და მერე ვაჭრობას დანიშნამენ. ის მემამულენი, რომელნიც ადგილობრივ არა სცხოვრობენ, მოვალენი არიან, რათა აღწერასა და დაფასებას დაესწრნენ, გამოცხადდნენ ერთის თვის განმავლობაში, 8 ნოემბრიდგან 8 დეკემბრამდე.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ამ ჟამად 166 მოსწავლეა. მათ შორის 95 ქართველი და დანარჩენი რუსი, ოსი, ბერძენი, აისორი და სხვა.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განუზრახავს ფოთის სადგური გააფართოვოს და ახალი შენობაც აგოს. ამისათვის საჭირო თანხა მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში უკვე შეტანილია.

⁂ რამდენსამე პეტერბურგელ ბელეტრისტს ამხანაგობა შეუდგენიათ თავის ნაწარმოების გამოსაცემად, რომ კერძო გამომცემლებს არ მიჰმართონ და მათ შრომით სხვამ არ ისარგებლოს.

⁂ ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგეობისაგან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს ბრძანება მოუვიდა, რომ 1904 წლიდან სატელეფონო

სადგურებზე ყველგან ქალები დაინიშნენ.

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურენი ხშირად სიღამოობითაც მუშაობენ და ამისთვის განსაკუთრებულ სასყიდელს იღებენ. ეხლა გამგეობას დაუდგენია, რომ მოსამსახურენი თავიანთ ჯამაგირში მოვალენი არიან გააკეთონ ყველა ის საქმე, რასაც ქალაქის გამგეობის წევრნი, მდივანი და საქმის მწარმოებელი დაუნიშნავს.

ამ 8 წლის წინად ყაზაზების უსტაბაშმა, ხელოსანთა ეხლანდელმა მოურავმა რაფაელოვმა შუამდგომლობა აღძრა სახელოსნო გამგეობის წინაშე ხელოსნებისთვის სამკურნალოს გამართვის შესახებ. რაფაელოვმა მაშინ 500 მან. შეჰკრიბა და ფული შეიტანა სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ამ ჟამად ხელოსანთა მოურავმა რაფაელოვმა აღძრა საკითხი ხელოსანთათვის სამარხ კასის დაარსების შესახებ და კიდეც შეიმუშავა პროექტი წესდებისა ამ წესდებით წევრმა კასაში ჩარიცხვისათანავე უნდა შეიტანოს 5 მან., ჩარიცხვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სამ-სამ მანეთს შეიტანს წელიწადში. შემდეგ ორის წლის განმავლობაში $1^{1}/_{2}$ მან., ხოლო უკანასკნელ სამს წელს თითო მანეთს წელიწადში. ამ რიგად 8 წლის შემდეგ კასის წევრი განთავისუფლებულ იქნება ყოველისავე საწევრო გარდასახადისაგან. კასიდან შემწეობა მიეცემათ უბედურ შემთხვევის დროს კასის წევრებს. ტფილისის ხელოსანთა მოურავმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ის 500 მან., რომელიც ამ 8 წლის წინად ბანკში იყო შეტანილი, ძირითად თანხად დაედოს განზრახულ სამარხ კასას.

ბაქოს სამუსიკო სასწავლებელს გალობის მასწავლებლად მიუწვევია კნეინა ტ. კ. ჩოლოყაშვილი, რომელსაც პეტერბურგის კონსერვატორია დაუმთავრებია და შემდეგ ბერლინში პროფ. ფრიკერთან უმეცადინია ერთ წელიწადს.

ამას წინად ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილიდან გაიქცა ერთი პატიმარი, შორაპნის მაზრის მცხოვრები იოსებ გაფრინდაშვილი. ეხლა, როგორც ჭიათურიდან იწერებიან, იოსებ გაფრინდაშვილი ჭიათურის საბოქაულოში დათარეშობს და შიშის ზარსა სცემს თურმე ადგილობრივ მცხოვრებთ. ოკდომბრის ბოლო რიცხვებში გაფრინდაშვილს შუქრუთში მოუკლავს მამა და შვილი.

როგორც შეკრებილ ცნობებით ვამორკვეულა, სოფლის ბოქაულები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ თურმე იმ ადგილებიდან სხვაგან საქონლის გადარეკას, სადაც საქონლის ჭირია. 6 ნოემბერს ნავთლუხში ბეითალ ახმეტელაშვილს შეუჩერებია მთელი ჯოგი. ეს ჯოგი ბეითალის შეუმოწმებლად მოუდენიათ სოფელ კესალოდან, სადაც საქონლის ჭირია. საგუბერნიო ბეითალის თხოვნით, გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ მაზრის პოლიციამ თვალყური ადევნოს საქონლის გადარეკა-გადმორეკას და აგრეთვე იმას, რომ ჭირიანი საქონელი არავინ დამალოს.

ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთა სადგომების საძირკვლის კურთხევის გამო.

11 გიორგობისთვეს ამა წლისა,—ნაშუადღევის პირველს საათზე ალავერდის ეპისკოპოსმა, ყოვლად-სამღვდელო დიმიტრიმ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ნიკანდრის,—სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრის არქიმანდრიტის გიორგის, დეკანოზის სოლომონ შოშიაშვილის და სემინარიის მოძღვრის მღვდლის იასონ ლაბაძის თანამსახურებით აკურთხა საძირკველი ამ სემინარიის მასწავლებელთა სადგომებისა... საძირკვლის კურთხევას დაესწრნენ ყოვლად-სამღვდელო ბენიამინი, ეპისკოპოსი გორისა, სემინარიის მთავრობა, მასწავლებლები, საალმაშენებელო და სარევიზიო კომიტეტის წევრები და სემინარიის ყველა მოწაფეები. საძირკვლის კურთხევის შემდეგ დამსწრენი მიწვეულ იქმნენ სადილზე,—რომლის დროსაც მრავალი სადღეგრძელო იქმნა წარმოთქმული... კურთხევის შესრულებას ხელს უწყობდა მშვენიერი ამინდი.

როგორც ვიცით,—ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ კარგა ხანია განიძრახა სემინარიისთვის ახალი შენობის აგება. არჩეულ იქმნა რამდენიმე ადგილი ამ შენობისთვის. სხვათა შორის, შესყიდულ იქმნა ადგილი ვერაზე ჯვარის პირდაპირ იქ, სადაც დღეს «ფიქრის გორაა»... განიძრახეს ერთხანად სემინარიის შენობის აგება მცხეთიდამ ორი ვერსტის სიშორეზე ბ-ნ პროზოროვსკის მამულში... მაგრამ ამ სემინარიის გამგეობამ უარ-ჰყო აზრი სემინარიის მცხეთაში გადატანისა სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო... „ფიქრის გორაც" არ მოიწონა უწმიდესის სინოდის სამეურნეო გამგეობის დირექტორმა ბ-ნ ოსტროუმოვმა... ამის შემდეგ სემინარიის რექტორად ნამყოფმა—აწ სუმის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო სტეფანემ სემინარიის მასწავლებელთა თანხმობით და მოწონებით იყიდა წყნეთის გზის პირს მდებარე თოთხმეტი დღიური მიწა მანთაშევისეული და ამ ადგილზე გადაწყვეტილ იქმნა სემინარიის ახალ შენობათა აგება. ამ შენობათა დაწყება და დამთავრება ხვდა წილად ტფილისის სემინარიის აწინდელს რექტორს არხიმანდრიტს ნიკანდრს, რომელიც დიდის მხნეობით სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა ძლევის შემდეგ მოეკიდა ამ დიდმნიშვნელოვანს საქმეს. მის თვალ-წინ აღიმართა უზარ-მაზარი ახალი შენობა, რომელიც სათავად-აზნაურო ახალს შენობასთან ერთად დამამშვენებელი ძეგლი იქნება მთელის ვერისა. სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტს ნიკადრს, რომელიც საალმაშენებლო კომიტეტის თავმჯდომარეა, მხარს უჭერენ ამ საქმეში მხნეობითვე სემინარიის ინსპექტორი მიხეილ ალექსანდრეს ძე დობრონრავოვი და ეკონომი მღვდელი ეპიფანე ჯაოშვილი, მთელი საალმაშენებლო კომიტეტიც სემინარიის მთავრობა და მოიჯარადრე ბ-ნ ყარამან ელჩიევთან ერთად ამავე საქმეს მუყაითობით ეკიდება. ამის გამო სემინარიის ახალი შენობა დამთავრებულ იქნება 1904 წლის ღვინობისთვეში. სემინარიის ახალი ადგილი დაჯილდოვებულია თავის სალის წმინდა ჰაერით. მას გვერდს ჩამოუდის საქართველოს ისტორიაში ცნობილი მდინარე ვერულა, ამ მდინარის ნაპირს გამართული იქნება აუზები მოწაფეთა საბანაოდ... აქვე განძრახულია ფერდობზე და მდინარის ნაპირს ბაღის გაშენება. საზოგადოდ სემინარიის მთავრობას კეთილი განზრახვა აქვს მოწაფეთა ცხოვრება ახალ ადგილს ჰიგიენურ პირობათა მიხედვით მოაწყოს, რათა მოწაფეები გონების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდნენ სხეულის მხრითაც... სალს და წმინდა ჰაერს, კარგს სმა-ჭამას, თავისუფალს გაშლილ ადგილებში სეირნობას, გიმნასტიკურს მოძრაობათა, წყლით სარგებლობას ამ მხრით-კი არსებითი და შეუდარებელი სარგებლობა მოაქვს. სემინარიის ახალ შენობათა გვერდით მდებარე ფართო და გაშლილი ადგილი,—ჯერ შევიწროებული შენობათაგან,—მოწაფეთათვის მშვენიერი სასეირნო იქნება.

დიდ-მნიშვნელოვანია აღზრდისთვის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სემინარიის მასწავლებელნი იცხოვრებენ თავის მოწაფეებთან ახალს სადგომებში, რომელთ საძირკველი ამ წლის 11 გიორგობისთვეს აკურთხეს. მასწავლებელთა სადგომებისათვის ორი ორ-სართულიანი ცალკე შენობა უნდა აგებულ იქმნას, ერთი შენობა დანიშნულია ცოლშვილიანი მასწავლებლებისთვის და მეორე—უცოლშვილოთათვის. შენობა დაჯდება ხარჯთ-აღრიცხვით 95,000 მანეთი... სემინარიის მასწავლებელთა სადგომები, როგორც ფიქრობენ, დამთავრებულ იქმნება 1904 წლის ღვინობისთვისთვის. ამნაირად ზოგიერთი სალი მოთხოვნილება, ესრედ წოდებულის „ახალის სკოლის", განხორციელებულ იქნებიან ტფილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებაში ახალს ადგილს... აქ, იმ ადგილს, სადაც აქამომდე სახნავ-სათესი ადგილი იყო და აქა-იქ აგურის ქარხნები,—დაიწყებს მოკლე მომავალში ღულილს სასწავლებლის ახალი ცხოვრება,—ხმაურობა, სიმღერა, გალობა და საუბარი სემინარიის ჭაბუკ-მოწაფეებისა გაალვიძებს დღეს მიძინებულს გარეშემორტყმულს არე-მარეს... გადახრუკული ახლო მდებარე ქედებიც მადლობის ნიშნად თვის სალამს უძღვნიან სიცოცხლით სავსე მოწაფეებს გულის გამხარებელის და მაცოცხლებელის სიოს ხშირის მობერვით.

ი—კო.

ჩვენებური ამბები

დ. ყვირილა. ამ ორის წლის განმავლობაში დ. ყვირილამ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ განათლების მხრივ. დაარსდა 4 კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, რომელსაც ამ ორის წლის განმავლობაში იმდენი მოწაფე მოაწყდა ყოველის მხრიდგან, რომ ასობით ბრუნდებიან მოწაფეები უკან ადგილის უქონლობის გამო.

არ არის აგრეთვე დიდი ხანი, რაც დაარსდა სამრევლო საქალებო სკოლა, რომელშიაც დღეს ას-ორმოცზედ მეტია მოსწავლე ქალი.

ვინ იფიქრებდა ამ ორი-სამის წლის წინად თუ სამოქალაქო სასწავლებელში ამდენი მოწაფე მოიყრიდა თავს, ან და ას-ორმოცი ქალიშვილი შეგროვდებოდა საქალებო სასწავლებელში. ზოგიერთები-კი ფიქრობდნენ: თუ სამოქალაქო სასწავლებელი დაარსდა, ნორმალური სასწავლებელი გაუქმდება, რადგან მოწაფეთა რიცხვი მცირედი იქნებაო, მაგრამ დღეს, როგორც სამოქალაქო სასწავლებელში, ისე ნორმალურში უადგილობის გამო ბევრი უკან ბრუნდება.

კერძო სკოლებში მოწაფენი საკმაოდ არიან. რამდენისამე თვის წინად ხმა გავარდა, რომ ყვირილაში არსდება კერძო ოთხ-კლასიანი საქალებო სასწავლებელიო. ამ აზრის განხორციელებას დიდის სიხარულით და აღტაცებით მოელოდნენ აქაურნი მცხოვრებნი. მართლაც, შესრულდა შათი სურვილი და კნ. ვერა ფადავას ასულმა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით დააარსა საქალებო სკოლა იმ ტიპისა, როგორც არის დღეს ქუთაისში კერძოდ ოთხ-კლასიანი სასწავლებელი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ის აღუქმას მიუცია ფადავას ასულისათვის, რომ თუ საზოგადოება ისურვებს და წლიურად 400 მ. შემოიტანს, სკოლას უფლებანი მიენიჭებაო.

წლიური გარდასახადი თუმცა მზრუნველმა სამი თუმანი დააწესა, მაგრამ აქაურმა მცხოვრებლებმა სთხოვეს, ხუთი მანეთი მოეკლო ჯერ-ჯერობით, რაზედაც ფადავას ქალი დასთანხმდა.

შენობა უკვე ნაქირავებია და შეუდგებიან სწავლას 15 ნოემბრიდგან. წრეუნდლობით იქნება გახსნილი უმცროსი მოსამზადებელი, უმფროსი, პირველი და მეორე კლასები, მესამე და მეოთხე არ იქნება წრეულს, რადგან მსურველები არ არიან მოწაფეთა შორის და არც ცოდნით არიან ღირსნი. კნ. ფადავას ასული დიდის მადლობის ღირსია, რომ ასეთი კეთილი საქმე დაიწყო, მაგრამ მადლობას თქვენი ჭირი წაუღია, დანძლვასაც არ აჯერებენ.

ვანო საყვარელიძე

—

ს. ველისციხე (სიღნაღის მაზრა); ს. ველისციხეს ხალხის მცხოვრებთა რაოდენობით მესამე ადგილი უჭირავს. სწავლა-განათლებით და თითქმის შეძლებითაც ყველა სოფელზე მაღლა სდგას. ამ სოფელში ყველა დარგის მოვაჭრე ვაჭრობს და ყველა დარგის ხელოსანი ხელოსნობს. აქ არის ბაზაზი, მიკიტანი, მეწვრილმანე, ბაყალი, მეთევზე, მეფურნე, მეთონე, ჩილინგარი, მჭედელი, ნალბანდი, მეტყავე, მექუდე, მეჩითე და სხვები. აქვთ მშვენიერი ბაზარი, ბაზრის შუაგულ მოედანზე უდგათ სასოფლო სასწორი, რომელზედაც სწონენ ხალხისთვის საჭირო სანოვაგეს, მაგ. ფქვილს, ქერს, ხორბალს, სიმინდს, ფეტვს, და სხვა. წონის ფულს იღებენ სოფლის სასარგებლოდ ფუთზე ერთ კაპეიკს (ვგონებ მყიდველთაგან); გამოუჭიმავთ ორ-სართულიანი და სამ-სართულიანი უზარ-მაზარი სახლები, ევროპიულ გემოვნებასა და გეგმაზე. ამავე სოფელს აქვს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, ქალების სამრევლო სასწავლებელი, საავადმყოფო ქსენონი, ჰყავთ საკუთრად დაქირავებული მკურნალი, რომელსაც ძლიერ ემადლიერებიან (ჟანდიერი). ჰყავთ ბებია ქალი, აქვთ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილება, რომელიც მშვენივრად მუშაობს. ამ დაწესებულებაში იყიდება ყოველგვარი ღირსის მარკები 5 კაპ., 10, 15, 40, 60 და 1 მან., ვექსილის (თამასუქი) ქაღალდები 10 კ., დაწებული 1 მან. 20 კაპეიკამდე.

გადაჰხედეთ ამ ტურფა და კოპწია სოფელს, ს. ახაშნიდან და თქვენს თვალს წარმოუდგება ერთი უზარ-მაზარი და მშვენიერი ზვარი, რადგან ეს სოფელი ჩაფლულია შიგ ბაღჩა-ვენახებ-ზვრებში. ზვრები თითქმის ალაზნის პირამდეა ჩაჭიმული.

მთელ სოფელში 582 კომლი მცხოვრებია: 1588 სული მამაკაცი, 1339 დედაკაცი. ორივე სქესისა 2927 სულია. სარწმუნოებითაც ასე განიყოფებიან: სომხები 356 კომ. 1014 სული მამრ. სქ. და 848 მდედრ. სქ. სულ სომხობა—1862 სული. ქართველები არიან 228 კომ.—573 მამრი და 491 მდედრი. სულ ქართველობა 1065 სულია *).

ეს ხალხი, როგორც ქართველობა, აგრეთვე სომხობა, ვაჭრობა-მრეწველობის გარდა მისდევს მევენახეობას და ხვნა-თესვას; ხვნა-თესვას უფრო ნაკლებ, რადგან სახნავი მამულები ცოტა აქვთ, ამათთვის მევენახეობა უფრო ხელ-საყრელია და მშვენივრადაც მუშაობენ ვენახებს, რის წყალობითაც კარგი მოსავალი მოსდით; ნამეტნავად წელს ბლო-

---

*) ეს ცნობანი არის აღებული 1888 წლ. ეხლა მეტი იქნება.

ფელეტონი

მშვენიერ აბონენტკას.

ხორც შესხმული ოცნება ხარ...
ზეცის ჯილდო, ზეცის წინდა...
გიყურებ და... მეც ურწმუნოს
სიხარული, რწმენა მინდა..,
სჩანს, ციური, შეიცოდა
ზეცამ მიწა, ცოდვის ბინა,
და სიცოცხლის ნეტარ წყაროდ
შენ დაგბადა, მოგავლინა...
ჩაგაბარა მის სვე-ბედი..
დაგაუფლა ზეცის ძალებს
და ეს უძლვნა თავის ჯილდოთ
მშვენიერო, შენსა თვალებს!
„თქვენ გებაროთ ქვეყნის ბედი...
კაცთ ტანჯული ყოფა, კრული,
თქვენ ხელთ იყოს, თქვენ განაგეთ
სიძულვილი, სიყვარული.
წყარო იყოს ნეტარების
შემოხედვა თქვენი, ცქერა,
და თუ არ გსურთ,—შხამად იქცეს
ცის შემნატრი ბედის-წერა...
და... მეც ვშიშობ... რას მიქადით
თვალნო, დევნილს, გარიყულსა:
ცრემლებს, კვნესას, სიკვდილსა, თუ
სიცოცხლეს და სიხარულსა?!.

—ნი.

—

მიქელ ანჯელოს კილოზე.

(ვ. დ. ველიჩქოდან)

შესწყდი სიმღერავ, დადუმდი ფიქრო!
შესდეგ, ნუღარ ხარ, გულო ფხიზელი!
მსურს ძილს მივეცე განთიადამდის,
ვიდრე მეუფებს უკუნი ბნელი...
ძილი მწადს, თავი მსურს დავივიწყო,
მსურს ვერ-რას ვგრძნობდე, ვერ-რას ვისმენდე,
არც ზიზღსა ვგრძნობდე, არცა სიძულვილს,
სამშობლოს გამო არ ვწითლდებოდე!
გავშორდე, ეგებ, ამა სირცხვილსა,
თანამოძმეთა ამ სულმდაბლობას!
მოფრინდი ჩემთან, ისწრაფე ძილო:
გონს ართმევ ფიქრს და—თვალთ მხედველობას!
და თუ კვლავ განვლენ წელიწადები,
და კვლავ იმეფებს უკუნი ბნელი,
მაშინ... ოჰ, მაშინ სამარადისოდ
დადუმდეს ფიქრი, ნუღარ ჰფეთქს გული!..

თ. მაგმაძე.

—

გმირის გულის პასუხი.

(ადამაჰმად ხანის დროიდგან).

მეუბნებიან: „ხმა გაკმინდე, დადუმდი შენთვის,
თორემ, იცოდე, შენც სხვებსავით შეგკრავ-შეგკოჰავთ;
შენზე საბრალო არ იქნება ადამის შვილი,
ბნელში ჩაგაგდებთ, თვალებს დაგთხრით და ისე მოგკლავთ!.,
ხომ იცი, რომა შენსა სიტყვას ჩვენ არ ვიწამებთ,
თუ გვემონები, ჯილდოს მოგცემთ, არა გაწამებთ.
მაშ რას ყბედობ, ბრიყვო, გიჯობს, ადუმო ენა:
სხვას რას დაეძებ, თუ შენ ჩვენგან გექნება ლხენა"?!.
და ამას როდის?! როს იმათგან ქვეყნიერება
ფეხით ითელვის, ნადგურდება და ილუპება,
როს იდეალი შეილახა, დაკარგა ფასი,
ნათლისა ადგილს ყველგან ბნელი ეპატრონება,
მოძმისა სისხლით ყვავ-ყორანი როს იღებება,
მათი ლეშითა გაყეყილი ძლიკსლა იძვრება,
როს ქვრივ ობოლიც ვერ ემალვის მათ პირუტყვობას,
როს წამ და უწუმ, მათი ცხენი მათ ზურგზე დადის
და ხარხარობენ, როს საწყალთა სისხლის კამარა,
ვით შადრევანი მათ თვალწინა ჰაერში ადის!..
როს მათი შიშით დედა შვილსა ძუძუს ვერ აჭმევს,
თვისივე ხელით მას საბრალო ხშირად სულს ართმევს
და თავსაც იკლავს, რომ გადურჩნენ სასტიკ წვალებას,
რომელშიც მტერი გრძნობს პირუტყვულ სიამოვნებას!..
მეუბნებიან: „შენსა სიტყვას ჩვენ არ ვიწამებთ,
თუ გვემონები, ჯილდოს მოგცემთ, არა—გაწამებთ...
მაშ კმარა, ბრიყვო, გირჩევთ, აწი ადუმო ენა...
სხვას რას დაეძებ, თუ შენ ჩვენგან გექნება ლხენა?!"
და ამას როდის?! როს იგინი ქალწულთ წინაშე
ამხედრებულან, მათ ყოველგან ნამუსსა ჰხდიან,
როს სურთ ქვეყანა ბრმებს ა დარჩეს, ხილულით თვალთ სთხრიან
და როს... მაგრამ მას ვინ მოსთვლის, რასაც სჩადიან...
მეუბნებიან: „ხმა გაკმინდე, დადუმდი შენთვის,
თორემ, იცოდე, შენც სხვებსავით შეგკრავთ, შეგკოჰავთ;
შენზე საბრალო არ იქნება ადამის შვილი,
ბნელში ჩაგაგდებთ, თვალებს დაგთხრით და ისე მოკლავთ!
მეუბნებიან, მაგრამ მათთვის პასუხად მზად მაქვს,
რომ ეს მუქარა ვერასოდეს ვერ შემაშინებს:
მე ხალხს ვეკუთვნი და სანამდის მის ტანჯვას ვხედავ
მის სანუგეშოდ ხმასაც ვერვინ გამაკმენდინებს!..

პეტრე.

—

ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდიდგან"

გალობა მეორე.

I

თუმცა პოეტი გეურჩებოდა,
მინერვა მაინც ხმა გაეც მგოსანს!
შენი ტაძარი [1]) აქა შვენოდა,
მისი ნანგრევი დღესაც კიდევ სჩანს.
არც მედგარს ომებს, არც დროთა ბრუნვას,
არც ყოვლის შთანმთქმელს ცეცხლსა აგზნებულს,
ტაძარი ისე არ შეუმუსრავს,
როგორათაც მტერს გამძვინვარებულს:
მტერი არა სცემს პატივს ძველ ნაშთებს
და მიწასთანა ყველას ასწორებს.

II

ათინავ [2]), გმირნი დიდებულ დროთა
აწ სად არიან? გაგრიდეს თვალი,

---

[1]) აკროპოლის ნაწილი შემუსვრილ იქმნა თოფის წამლის აფეთქებით, როდესაც ვენეციელნი გარს ერტყნენ ათინას.

[2]) ჩვენ ყველას შეგვიძლიან გამოვცადოთ ან წარმოვიდგინოთ ის გრძნობანი, რომელნიც იღვიძებენ ჩვენს სულში, როდესაც ვხედავთ ნანგრევებს ქალაქისას, რომელიც იყო სატახტო ქალაქი მთელის იმპერიისა. ცოტა რამ არა თქმულა ასეთ გრძნობებზედ, ამიტომ მე აქ მეტად მიმაჩნია მათი გამეორება; მაგრამ როდესაც მოვიგონებ, რა იყო ძველად ათინა და რასა ჰგავს ეხლა, ეს შედარება ამტკიცებს კაცის არარაობას და მცირე მნიშვნელობას მისის ორის სათნოებისას: პატრიოტობისას, რომელიც გვაიძულებს ვაქოთ ჩვენი სამშობლო მხარე, და ქველობისას, რომლითაც ვიფარავთ მას. ქალაქი, სადაც იბრძოდა ორი ძლიერი დასი, სადაც ისმოდა ორატორთა შეჯავახება, სადაც მაღლდებოდნენ და თახსირდებოდნენ მტარვალნი, სადაც პატივს სცემდნენ გამოჩენილ მოქალაქეთ ანუ მიჰყავდათ სასიკვდილოთ დასასჯელად, გადიქცა მოედნად წვრილმანი ინტრიგებისა და დაუსრულებელ შუღლისა, რომელსაც იწვევენ ინგლისის ზოგიერთა ლორდების და თავად-აზნაურთა აგენტები. მელებმა, ბუებმა და გველებმა, რომელთაც დაიბუდეს ბაბილონის ნანგრევებში, უფრო ნაკლები ვნება მოუტანეს, ვიდრე ამ ხალხმა. ოსმალებს თავიანთი გამარჯვებით მაინც შეუძლიანთ გაამართლონ თავიანთი მფლობელობა; ბერძნებმა-კი გამოსცადეს შედეგნი უბედურის ომისა, რომელსაც შეუძლიან დიდი ვნება მიაყენოს დიდ გმირებსაც-კი. რა მდგომარეობა უნდა იყოს დამარცხებულისა, როდესაც ორი მხატვარი ერთი-ერთმანეთს ეცილებიან პარტენონის ძარცვას და ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე, იმის მიხედვით, თუ რა სწერია უკანასკნელს ფირმანში. სილლას შეეძლო ათინელთა დასჯა, ფილიპეს მათი დამორჩილება, ქსერქსს მათი დაწვა, მაგრამ ძველების მკვლევართ და მათ აგენტებს-კი ბედმა წილად არგუნა გადაექციათ ათინა ისევე ვაგლახ ქალაქად, როგორც თვითონ იყვნენ ვაგლახნი. ვიდრე დაიწოდა პარტენონი იყო ტაძრად, ეკლესიად და მეჩითად. ამ მხრივ არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღ მოუვიდათ ღვინო. უნდა ვუმადლოდეთ საუფლისწულო მამულებს, რადგან აქედან შეისწავლეს ვაზის მოვლა-პატრონობა; სწავლით ხომ სწავლობენ და გამორჩომითაც რჩებიან (მეტადრე ხელ-მოკლე ღარიბი ხალხი) მუშაობით. ქალი, კაცი და უმაწვილი ბევრი მუშაობს ამ ზემოხსენებულ უზარ-მაზარ მამულში. სიახლოვეც ხელს უწყობს ხალხს. ეს მამული ველისციხიდან სულ ერთ ან ერთ-ნახევარ ვერსის მანძილზეა.

კარგა ხანია მე ველის-ციხე აღარ მენახა; ამ გიორგობისთვის ორში-კი მქონდა შემთხვევა და ვნახე. ვნახე, მაგრამ ერთის დღის განმავლობაში განა შეიძლება კაცმა გულდასმით გასინჯოს და დაათვალიეროს ყოველივე სოფელში?

ახლა ორიოდე სიტყვა ქართული ეკლესიის შესახებ, (საუბედუროდ, სომხების ეკლესია ვერა ვნახეთ). ქართველთა ეკლესია შუა სოფელშია მშვენიერ ადგილას; გარშემო შემორტყმული აქვს ქვითკირის გალავანი რკინის ხრახნილ მესრით; გალავანში შესასვლელი დიდი კარებიც რკინისა. ეკლესიის ეზოში სამაგალითო სისუფთავეა. ეზოშივეა (აღაჟფის კარების შესავალთან) მოთავსებულია სამრევლო ქალების სასწავლებელი; სასწავლებელს განაგებს ახალგაზრდა ქალი ნ. დ რცხილაძისა; ეტყობა, ეს ქალი უსწავლებს სიყვარულით ეპყრობა. შევედ ეკლესიაში, 10 საათია. პატარა ქალი ჟამნობას გაცხარებითა კითხულობს. ეკლესია მშვენივრათაა მოწყობილი; ყველა თავთავის ადგას არი მოთავსებული. იკტაკი ფიცრისაა, მარცხნივ დუმელის დასადგმელია, შესავალ კარებში, მარჯვნივ, მოთავსებული წმ. სანთლის საყიდი თავის ზღუდით, ზღუდეს შიგნით სანთელთან მნათე დგას და აწვდის წმ. სანთელს მლოცველთ. მარცხნივ ამართულია ხვეული კიბე, რომელსაც მაღლა მშვენივრად მოწყობილ აივანზე აჰყავს მლოცველი ხალხი. ადსავლის კარებთან, მარცხნივ, გ. ი. ჩრდილოეთისკენ სდგას საწიგნე. ესეც შემოზღუდულია; საწიგნეს წინ მედავითნეა. საწიგნეზე-კი სდგას პატარა, მაგრამ მკვირცხლი და ნარნარი ქალი, რომელიც წმინდა ზარისავით ხმით კითხულობს ჟამნობას, რაც ვერ გამოუთქვამს, ამეორებინებს მედავითნე. საკითხველის უკან გამწკრივებულან სხვა-და-სხვა სიმაღლის და ტანის პატარა მოსწავლე ქალები და მოწიწებით ისმენენ ჟამნობას; მარჯვნივ აღსავლის კარისა (სამხრეთისკენ) მგალობელთათვის მოაჯრული და ამაღლებული ადგილია, რომელზედაც რამდენსამე ქალს ჩასდგომია ზემოხსენებული მასწავლებელი ქალი რცხილაძისა. დაიწყო წირვა და გაისმა ეკლესიაშიც ამ ქალთაგან მშვენიერ და ნარნარ ხმით გალობა. «უფალო, შეგვიწყალენ». როგორც ზევითა ვსთქვით, მთელი ჟამნობა, დავითნი და სამოციქულო სულ ამ პატარა მოსწავლე ქალებმა შეასრულეს. მეტად მშვენივრად იგალობეს: «მამაო ჩვენო» «შენ ხარ ვენახი» და «შენ გიგალობთ»..

აი ამ რადაც 228 კომლმა ქართველობამ შესძლო და აიშენა და გააწყო მშვენივრად ტაძარი, შემოავლო მკვიდრი ზღუდე, მორთო და შეამკო შიგნითაც. გარდა ამისა ფულადაც დაუზოგა და შეუნახა ეკლესიას რამოდენიმე ასი მანათი. უნდა გამოვტყდე, რომ მთელ სიღნაღის მაზრაში არ არის ამისთანა შემკული და შენახული ეკლესია. მადლობის ღირსია ამ ეკლესიის კრებული, მრევლი, მნათე და სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელი ქალიც. პირველები ეკლესიის მოვლა-გამშვენებისათვის და უკანასკნელი ყმაწვილების მშვენივრად მომზადებისათვის..

ერთმა მრევლთაგანმა პაატა შალაშვილმა მითხრა, ვცდილობთ, ეგებ ს. ი. ოჭანოვის შენობა შევისყიდოთ სამრევლო სკოლისათვისაო. ეს შენობა ზედ ეკლესიის გალავნის კარებთან არი მიკრული. იმედია, არც პატრონი. ასწევს ისე მაღლა თავის შენობის ფასს, რომ მრევლმა ვერ შესძლოს შენობის შეძენა. ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ ენერგიით სავსე ეკლესიისა და განათლების მოყვარულ ხალხს. ღმერთმა ჰქნას, რომ ამათ სხვებმაც მიჰბაძონ.

ქართველი.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტრო შეუდგა ფიქრს დედათა გიმნაზიების გადაკეთებისას.

— რუსეთის მთავრობასაც უნდა შეიწყნაროს ამერიკის ახალი რესპუბლიკა, რომელიც კოლუმბიას მოშორდა, ცალკე სახელმწიფოდ.

— 1870 წელს თავად-აზნაურობას სიმბირსკის გუბერნიაში ჰქონდა 1232,303 დესეტინა მამული. სულ იყო მფლობელთა რიცხვი 1427. 1880 წელს 1.121,389 დესეტინა. მფლობელთა რიცხვი 1217; 1890 წ. 1.019,700 დეს. მფლობელთა რიცხვი 1500; ბოლოს 1901 წ. 870,007 დეს., მფლობელთა რიცხვი 970. ამ სახით, 30 წლის განმავლობაში თავად-აზნაურთა ხელიდან წავიდა 362,296 დეს. და მფლობელთა რიცხვს დააკლდა 457 კაცი.

— „ხარკოვის საგუბერნიო უწყებაში" დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისა: ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სახელოსნოების პატრონებმა, აგრეთვე მათი იჯარადარნი და გამგებელ-მოურავნი ვალდებულნი არიან ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური, რომ მათ ხელქვეით მუშათა შორის არ გაჩნდნენ საიდანმე გამავრცელებელნი მავნებელ მოძღვრებათა და ისეთის ხმებისა, რომელიც აღელვებს და საზოგადოების მყუდროებას არღვევს. თუ ვინიცობაა გაჩნდნენ ამისთანანი, დაუყოვნებლივ უნდა აუწყონ პოლიციას და ეცადონ არ მოაშორონ თვალი ამისთანა საეჭვო კაცებს, არამედ, თუ შესაძლოა ხელში ჩაიგდონ დასამტკიცებელი საბუთი მათის დანაშაულისა. ასეთ საბუთად ჩაითვლება აღკრძალული წიგნები, ხელნაწერები და სხვა.

უცხოეთი

იაპონია. იაპონური გაზ. „ძიძი-შიმპო"-ში დაბეჭდილია მეთაური წერილი ამ სათაურით: „ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ინტერესები კორეაში".

ჩვენი სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც განაძლიერეს და მკვიდრი ნიადაგი მოუპოვეს სამხედრო ასპარეზზე იაპონიას, ამ ჟამად უნდა შეეცადნენ, რომ შინაური საქმეები მოაწყონ და განავითარონ; ამისათვის-კი საჭიროა იზრუნონ და რაც შეიძლება მალე მოუპოვონ ჩვენს სახელმწიფოს ბაზრები მეზობელ სახელმწიფოებში.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის კუნძული კორეა, რომელიც ჩვენის მეცადინეობის წყალობით, პროგრესის გზას ადგია. სავაჭრო-სამრეწველო ურთი-ერთობა კორეასთან არამც-თუ აძლიერებს ჩვენს ფინანსებს, იაპონიის გაღარიბებულ მკვიდრთაც ღონისძიებას აძლევს თავისუფლად გადასახლდნენ კორეაში და სხვა-და-სხვა მრეწველობას მიჰყონ ხელი.

ჯერ-ჯერობით 20,000 კაცია გადასახლებული კორეის კუნძულზედ და 20,000,000 იენის ვაჭრობა-კი გვაქვს ყოველ-წლიურად ამ სახელმწიფოსთან.

ამ ჟამად კორეაში 20 სკოლა გვაქვს, რომელზედაც 30,000 იენსა ვხარჯავთ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თანდათანი დაახლოვება ორთავე სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნება და ჩვენი მეცადინეობა კორეის განსავითარებლად საპატიო ალაგს დაიჭერს მის ისტორიაში.

ძლიერი ტალღა განათლებისა, რომელიც იაპონიიდგან ხვდება კორეას, თანდა-თან აფხიზლებს ხალხს ჩინურ ძალისაგან, აიძულებს კორეელს გაიცნოს და შეისწავლოს თავისი სამშობლო და მისი მნიშვნელობა, შეიგნოს თავისი ეროვნული ძალნი, რომელნიც უნაყოფოდ სჭკნება რადგან დღევანდელს კორეელს არა აქვს საკმაო მხნეობა და ცოდნა და არა გაეგება-რა ტეხნიკისა.

ჩვენ მეტად ძვირად დაგვიჯდა ის ღონისძიებანი, რომელნიც კორეის იმპერიის განვითარებას მოვანდომეთ და ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავისაკუთროთ მისი სავაჭრო ბაზრები, რასაკვირველია, ისე-კი. რომ იმავე დროს ხელ-უხლებლად დარჩეს მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

კორეის კუნძული მეტად საჭირო ქვეყანაა ჩვენთვის, რადგან საუცხოო სამხედრო მდებარეობა აქვს და მოხერხებული ნავთ-სადგურები აკრავს გარშემო. მის ნავთ-სადგურებში კარგად მოთავსდება როგორც სამხედრო, ისე სამხედრო ხომალდები. უმთავრესად-კი კორეა მითაა ჩვენთვის ძვირფასი, რომ შეგვიძლიან თავისუფლად გადავასახლოთ უმიწა-წყლო იაპონელნი, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. საყურადღებოა, რომ სამშობლოდგან გარდახვეწილნი იაპონელნი არა სწყვეტენ ურთიერთობას თავის მოძმე ერთან და მით ხელს უწყობენ მშობლიურ ქვეყნის განვითარებას.

გონივრულად და მოხერხებულად მიმართული სისტემა მრეწველობისა კორეაში დიდად ხელს შეუწყობს ჩვენის საფინანსო პოლიტიკის გაძლიერებას, რაიცა ესოდენ საჭიროა ჩვენის მომავალ მოქმედებისათვისაო".

ინგლისი ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა ინგლისის სამხედრო ექსპედიციის ტიბეტზე გალაშქრების შესახებ. ამ ოფიციალურ ნოტაში მოკლედაა მოთხრობილი, თუ რა აზრით გაჰგზავნა მისსია პოლკოვნიკ იონგჰეზბანდის წინამძღოლობით ინდოეთის მთავრობამ გასულ ივლისში და შემდეგ აღნიშნულია, რომ ტიბეტის მცხოვრებნი მეტად უცქერავენ ხელს ამ მისსიას და ემუქრებიან,—ყოველ ღონისძიებას ვიხმართ დაგატოვებინოთ ის ბანაკი, რომელიც კამბა-ჯუში მოაწყვეთო, ტიბეტელნი აგრეთვე აფუჭებენ ტელეგრაფის მავთულებს, რომელიც მისსიამ გაჰმართა ტიბეტის სხვა-და-სხვა ადგილებში, და ამგვარად აბრკოლებენ მიწერ-მოწერას. რადგან მისსია დარწმუნდა, რომ მშვიდობიანად ვერას გახდებოდა, მიჰმართა მთავრობას,—სამხედრო რაზმი მოგვაშველეთო. პოლკოვნიკი იონგჰეზბანდი ოკდომბრის 28-ს (ახ. სტ.) სიმლას წავიდა ინდოეთის მეფის მოადგილე კერზონსა და ლორდ კიტჩენერთან მოსალაპარაკებლად.

ყველამ უწყისო—ნათქვამია ნოტაში, რომ ტიბეტლებს მეტად სძაგთ ჩინელნიო. ცხადია აგრეთვე, რომ მათ რუსეთის იმედი აქვთ და ჰგონებენ მათის შემწეობით ხელს შეუშლით ინგლისელთა შემოსევას ტიბეტშიო. ტიბეტელებს იმედი ჰქონდათ აგრეთვე ნეპალის მცხოვრებლებისა, მაგრამ ადგილობრივმა პირველმა მინისტრმა ცივი უარი უთხრა, რადგან იგი უფრო ინგლისელებს თანაუგრძნობს. იმან მიჰმართა ტიბეტის მთავრობას წერილობით და აღნიშნა, რომ ტიბეტის მცხოვრებნი ინგლისის მისსიას შეურაცხყოფას აყენებენ; ტიბეტი-კი მოვალეა შეასრულოს და პატივისცემით მოეპყრას ინგლისის ტიბეტის 1890 წ. და 1893 წ. დადებულ ხელშეკრულობასაო.

დასასრულ მინისტრი ურჩევდა ტიბეტის მთავრობას, -კავშირით შეეკარ ინგლისს, თუ გინდათ თავიდგან აიცილოთ მოსალოდნელი უბედურებაო.

„ივერიის" ფოსტა

სამტრედი. ა. ტ. თ—ძეს. თქვენი ლექსი „შემოდგომა" არ დაიბეჭდება

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი.

პოტსდამი. 12 ნოემბერს შემდეგი ბიულეტენი გამოცხადდა: ჭრილობა ყელის მარცხენა ნაწილში, რომელიც ოპერაციის შემდეგ დარჩა, გამთელდა 6 ნოემბრამდე. იმპერატორს ეხლა ყელის მასსაჟს უკეთებენ და ამასთანავე ხმას ავარჯიშებინებენ; რამდენისამე კვირის შემდეგ შესაძლოა ხმა სრულიად დაუბრუნდეს.

სირაკუზი. დილით აქ საშინელი მიწის ძვრა იყო.

პარიჟი. გაზეთები ამართლებენ „შერბურგის გაზეთის" ცნობას, რომ ერთმა დაბალ ჯარის კაცთაგანმა, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგს დარაჯობდნენ იტალიის მეფე-დედოფლის დაბრუნების დროს, რელსებზე დააწყო ხუთი მოზდილი ქვა, რაც სხვებმა თავის დროს შენიშნეს. ჯარის კაცი შეპყრობილია და, უეჭველია, სამხედრო სასამართლოს მიეცემა. ზოგი მისი ამხანაგი არწმუნებს, რომ იგი შეშლილიაო.

პეტერბურგი. ჩვენ მივიღეთ სოფიიდგან შემდეგი ოფიციალური ცნობა: სამთავრო გვარეულობის წევრთა შეკრებულობას სოფიაში სრულიად უსაფუძვლო მნიშვნელობას აძლევენ რუსეთის გაზეთები: ერცჰერცოგინა კლოტილდა, პრინცები ფილიპპე და ავგუსტო საქსენ-კობურგელები და პრინცი ავგუსტო-ლეოპოლდი მხოლოდ იმისთვის მივიდნენ, რომ მიელოცათ პრინცესსა კლემენტინისთვის დაბადების დღე, რასაც წელს დიდის ამბით დღესასწაულობენ, რადგან მთავრის დედა მეტად მოხუცებულია.

პორტ-არტური. პეკინის მთავრობამ უბრძანა გენერალ მას, დარჩეს შანჰაიკუანს, სადა იგი მხედართ-სარდლობს 18,000 ჩინელის ჯარს.

პეტერბურგი. წყალმა მოიცვა ადმირალტეისკის და სასახლის სანაპირო ქუჩები და ნაწილი სანაპირო ქუჩა საზამთრო სასახლის წინ. წყალი ავიდა ორდინარ ზეით $9^{1}/_{2}$ ფუტის სიმაღლეზედ. ობვოდნი კანალში წყალი ნაპირს გაუსწორდა. ეკატერინის კანალის წყალი გადმოვარდა ნაპირებზედ და მოედო ქუჩებს; ფონტანკის სანაპირო ქუჩაც წყალ-ქვეშაა; მარიამის მოედანი ტბასავით იყო; საზაფხულო ბაღიც წყალშია; ქარმა წააქცია 30 ხე; პრინც ოლდენბურგელის სასახლის პირველი სართული წყალშია; პეტერბურგის მხარეზედ, ვასილევის კუნძულზედ და ნავთ-სადგურის ქუჩები წყალს აქვს დაჭერილი; აუარებელი ხალხი დაზარალდა; ზარალი მეტის-მეტად დიდია. კუნძულზედ მრავალი ხე წაიქცა, ქარმა სახლებს სახურავები აგლიჯა; საშინელი წყალ-

---

სიზმარივითა მათ გმირთ მორჭმულთა
განვლეს სოფელი, სად არს მათ კვალი?
ესოდენ მათი ღვაწლი, დიდება,
მათი სურვილი და მისწრაფება,
ნუ თუ მარტოკა იმისთვის იყო,
რომ სკოლის შეგირდს გაჰკვირვებიყო?
თორემ სხვას ყველას აქ ვხედავთ აღგვილს
და ძველ დიდების ვსჭვრეტთ მარტო აჩრდილს.

III

წუთის სტუმარო ამა სოფლისა!
დააკვირდი ამ ძველ დროთა ნაშთებს:
აქ სჩანს ნანგრევნი ღმერთ ტაძრებისა,
აქ აღგვილ ერის ნახავ საფლავებს.
სარწმუნოებას სცვლის ჟამთა დენა:
იუპიტერი, მაჰმადი გაჰქრნენ;
კვლავაც შეიცვლება აზრი და რწმენა,
თუ სიკვდილისა შვილნი არ მიხვდნენ,
რომ ზეცისადმი გუნდრუკის კმევა
არვის აცხოვნებს, არ შეეწევა.

IV

მონებო, ზეცა გჩანთ ნეტარებათ!
ნუ თუ ამ სოფლის ტანჯვას არ კმარობთ?
ნუ თუ სიცოცხლე ისე გაგიტკბათ,
რომ სიკვდილს შემდეგ მას კვლავად ნატრობთ?
რად გსურთ გაიგოთ, რა მოგელით თქვენ
იმ სოფლად: ტანჯვა თუ ნეტარება?
რად მიისწრაფით იმა სოფლისკენ,
რასაც ვერ სწვდება თქვენი გონება?
დახედეთ საფლავს, მის ცივი ქვანი
ბევრს გამცნევთ, ვიდრე ქადაგებანი.

V

შეხედეთ გმირის მატურს დიდებულს,
ტიალს მინდორზედ ის განისვენებს [3]),
იმის საფლავსა განმარტოებულს
ერი აყრიდა მადლობით ცრემლებს.
იქ კაცი სახელს რა გზით იხვეჭავს,
საც უცხოვრიათ ნახევარ ღმერთებს?
აი გამხმარი თავი,—ფუ! რას ჰგავს!
მისი დანახვა კაცსა აძრუწუნებს.
ნუთუ ეს იყო ღმერთის ტაძარი?
ეხლა-კი მასში მატლიც არ არი.

VI

იგი აწ ძველი რამ ნაშთენია,
უწინ-კი იყო ტაძარი ვრცელი!
იქ ერთხელ ნათელს აზრს უბრწყენია,
იქ სულსა სდგმია საკუთხეველი.
საც თვალთ ფოსონი სჩანან საზარლად,
იქ უსრბოლია ვნებას ფრთა გაშლილს,
ნუთუ მას ვინმე აღადგენს კვალად,
რაც წარუტაცავს ულმობელ სიკვდილს?
სოფისტს, ამ წმინდანს განა აქვთ ძალა,
რომ გააცოცხლონ ეს თავის ქალა?

VII

მართლა სთქვი სოკრატ: ,,ჩვენ იგი ვიცით,
რომ ვერ მივწვდები ნათელს სწავლისას!''
ამ სოფლის უღელს ვეწევით ტანჯვით,
სად დავემალვით დევნას ბედისას?
ოცნებით თავსა რისთვის ვიწუხებთ?
სჯობს ავყვეთ სოფლის ამოვნებასა,
ახერონისა ნაპირზედ ვპოვებთ
ჩვენ საუკუნო განსვენებასა.
უნებურადა იქ მისულ სტუმრებს
ვეღარაფერი ვერ გააღვიძებს.

VIII

წმინდა მამანო! თქვენ გვეუბნებით,
რომ სხვა ცხოვრება გველის ღმერთთანა?
ამცნეთ ურწმუნოთ, ნუ ერიდებით.
სად არის იგი აღთქმის ქვეყანა?
ვიშ? რა იქნება იგი სოფელი,
ჩვენს მეგობრებსა რომ შევეყაროთ,
მათთა აჩრდილთა მოვხვიოთ ხელი
და სიხარულის ცრემლები ვღვაროთ;
ვნახოთ იგინიც, ვინც ერს დაცემულს
უქადაგებდნენ ძმობას, სიყვარულს.

IX

შენც შთავედ საფლავს გახრწნილებისას
ძნელ დასავიწყო, ჰე მეგობარო!
ვერ გავიქარვებ სევდას სულისას,
რა გინდ მდუღარე ცრემლები ვღვარო.
შენს სახეს გული დაობლებული
მარად ატარებს,—არ ვწყევლი ჩემს ბედს,
შენი უზომო ღრმა სიყვარული
იმ სოფლად შეყრის მაძლევს მე იმედს...[4])
ოხ, მაშინ რა რიგ გავიხარებდი,
შენს კარგად ყოფნას რომ გავიგებდი.

X.

აქ, სადაც სვეტი სდგას დიდებული,
ვზივარ მარტოკა, ზევსის ტაძარი
მდგარა აქ ერთ დროს განსხვავებული;
რა გითხრათ მასზედ, რაც აღარ არი?
ვაჰმე! რაც ერთხელ დროს შეუმუსრავს,
კაცი ოცნებით ვეღარ აღადგენს!
წარსულ დიდებას წყვდიადი ჰბურავს,
ამ ქვებს-ღა ვხედავთ იმ ტაძრის ნაშთებს...
არაფრად აგდებს ამ ნაშთთ ოსმალო
და ბერძნიცა მღერის საბრალო.

XI

ჰოი ტაძარო! სადაც პალლადას
საკურთხეველი თვისი ჰქონია,
ვინ შეჰხებია შენს ნაშთსა წმინდას? [5])
სწითლდები განა კალედონია!
ის იყო შენი შვილი მძარცველი,
იგი არაფერს ერიდებოდა;
გულით მიხარის, რომ ბრიტანელი
ასე ურცხვად არ მოექცეოდა.
ვაი რომ ნაშთნი იმა ტაძრისა
შეიქმნენ მსხვერპლნი ზღვის ტალღებისა! [6])

XII

რასაც ოსმალომ ხელი არ ახლო,
რაც დროთა ბრუნვას არ წაუბღალავს,
მას პიკთა შვილმა მუსრი გაავლო,
მისთვის ეს არვის არ აუკრძალავს.
იგი ჰგავს თავის სამშობლოს ცივს მთებს,
ვინც უნუგეშო და უმწეო ერს,
ართმევს წარსულის დიდების ნაშთებს!
ვერ შეებრძოლნენ ათინელნი მტერს...
მათ მოაგონდათ ძველი ვაება;
რა მწარე იყო ეს მოგონება! [7])

XIII

ოხ, ბრიტანიავ! შენ გულს არ გიკლავს
საბრალო ბერძნის კვნესა-ტირილი?
მცარცველობისთვის ვინ არა გძრახავს,
სირცხვილი შენა, დიდი სირცხვილი!
ზღვათ მეფევ, მხარევ თავისუფლების,
დანით გაჰგმირე ელადის გული:
ყველა წარსტაცე, რაც-კი დიდების
ნაშთები ჰქონდა დატოვებული,
რაც გადურჩა დროს შეუმუსვრელი
და მტარვალთაცა არ ახლეს ხელი.

XIV

ელიდით რად არ მოხველ პალლადა? [8])
ალარიხ შენგან დამარცხებულო;
პელეის შვილი სად იყო, სადა?
ჯოჯოხეთიდან იგი მოსულა,
საომრად ნუ თუ აღარ მოავლენს
პლუტონი კვლავად ისეთ გმირს მორჭმულს,
რომ ახალს მძარცველს თავზარი დასცეს
და მოაშოროს ქვეყანას ბედკრულს?
ვაჰმე! აქილი აღარ მოვიდა
და მტერიც მისთვის თავსა გავიდა!

XV

ოხ, საბერძნეთო! გული მიკვდება,
როს გიმზერ; ჰგევხარ სატრფოს სამარეს!
თვალთ ცრემლი ვის არ მოედინება,
ვინც-კი გიხილავს ეგრე მწუხარეს?
წყეულიმც იყოს ის დრო, ის ჟამი,
როცა მოვიდა აქ ალბიონი:
გაგძარცვა, გულში ჩაგასხა შხამი,
წაგართვა ნაშთნი საამაყონი.
შენი ღმერთები აწ სად არიან?
მკვდარს ჩრდილოეთში იმყოფებიან.

ი. ბაქრაძე

იძლება არ მივაქციოთ მას ყურადღება: თუმცა იგი ეკუთვნოდა სხვა-და-სხვა სარწმუნოებას, მაგრამ სამჯერ ხომ მასში რელიგიური წესები სრულდებოდა, ამისათვის მისი პროფანაცია—არის სამგზივი მკრეხელობა. მაგრამ ვაი, რომ ამაყ კაცს, რომელიც მცირე ხნით სარგებლობს თავის უფლებით, შეუძლიან ისეთი ფანტასტიური საქმეები ჩაიდინოს, რომელნიც თვით ანგელოზებსაც-კი ცრემლებს გამოაყრევინებენ».

[3]) ბერძნები ყოველთვის არა სწვამდნენ თავიანთ მიცვალებულებს. აიაქსი, მაგალითად, დამარხულ იქმნა. თითქმის ყველა ბელადები სიკვდილის შემდეგ ღმერთებად ითვლებოდნენ და უფრო ხშირად ყოველი წლიური თამაშობანი მათი საფლავების ახლო იმართებოდა; მათ მოსახსენებლად აღაპებსაც ჰმართავდნენ: ასეთი პატივის ცემის ღირსნი შეიქმნენ ასილი, ბრაზიდისი და ასე გასინჯეთ ანტინოიც, რომლის სიკვდილიც იმდენადვე დიდებული იყო, რამდენადაც სიცოცხლე სამარცხვინო.

[4]) ეს ტაეპი ბაირონმა დასწერა ნიუსტედში, 1811 წ., როდესაც შეიტყო სიკვდილი ახალგაზრდა ედელსტონისა, რომელიც იყო მისი კემბრიჯელი ამხანაგი.

[5]) ეს იყო ოლიმპიის იუპიტერის ტაძარი, რომელისგანაც მხოლოდ 16 სვეტიღა დარჩა მარმარილოსი. ეს სვეტები სულ 150 ყოფილა. ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომც ეს სვეტები წინად პანტეონს ამშვენებდნენ.

[6] გემი არხიპელაგში დაიღუპა.

[7]) ვსარგებლობ ჩემი მეგობრის დოქტორი კლარვის ნება დართვით.

[8]) ზოსიმეს სიტყვით მინერვამა და ახილმა განდევნეს აკროპოლისიდგან. სხვები-კი ამბობენ რომ გოტების მეფე ისევე შეუბრალებელი იყო როგორც შოტლანდიის პერი.

დიდობა იყო. $2^{1}/_{2}$ ფუტი-და დაკლდა იმ სიმაღლეს, სადამდინაც წყალი ავიდა 1824 წლის შესანიშნავ წყალდიდობის დროს. 2 საათზე წყლის ბობოქრობა დამშვიდდა.

ბუენოს-აირესი. გემის «ურაგვაის» გამგეს მოხსენების თანახმად ნორდენშილდის ექსპედიციის შესახებ, მისი გემი «ანტარქტიკი» უინულებს დაუმტვრევია ერებუსისა და ტერრორის ყურეში. ნორდენშილდმა მიაღწია სამხრეთ სიგანის 66 გრადუსამდე და ბევრი ძვირფასი რამ გამოიკვლია.

კრონშტადტი. ღამე ქარი გრიგალივით მძვინვარებდა და დიდი ზარალი მოუტანა ქალაქს. დაბლობი ადგილები წყალმა დაიჭირა. ქალაქ გარედ ბევრი საქონელი და წვრილფეხი დაიღუპა.

პორტ-არტური. 8 ნოემბერს დილის ამბით ჩაუშვეს ზღვაში ნაღმიანი გემი „სტატნი“, უკანასკნელი მათ შორის, რომელიც აგო ნევის ქარხანამ. პირველი ექვსი საომრად დამზადებულია და შეუდგნენ კიდეც საქმეს. სისწრაფე ხელშეკრულობას აღემატება და ოცდაათამდე კვანძს უდრის. ქარხანამ დიდი გაჭირვება სძლია, რადგან ამისთანა მძიმე საქმეზე ამუშავებდა ჩინელებს ცოტაოდენ სუს-ინჟენერებისა და ოსტატების დახმარებით. ჩინელ მუშათა რიცხვი 1,500 კაცამდე იყო. ხელმწიფის მოადგილე 15 ნოემბრამდე ვერ გამოემგზავრება. დიპლომატიური მოლაპარაკება იაპონიასთან საიდუმლოდ და იაპონიის მწერლობას ვერ გაუგია.

კიშინევი. პალატა ჰფიქრობდა დღეს პირველი საქმე მაინც განეხილა უწესოების ჩადენის შესახებ, მაგრამ 566 მოწმეთაგან მხოლოდ 20 ჩამოართვა ჩვენება.

პეტერბურგი. გუშინ საღამოს ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს ტემპერატურა ჰქონდა 37,3, მაჯა 72. დღეს დილით ტემპერატურა 37,1, მაჯა 68, ყურის აფსკრა გუშინდელს აქედ გამოიბერა. ნესტარი დაჰკრეს აფსკრას და გამოუდინა ჩირქ-მორეული სისხლი. საერთო მდგომარეობა რიგიანია.

13 ნოემბერი

სტამბოლი. ზინოვიევმა განუცხადა პორტას, სახელმწიფონი მოითხოვენ, რომ რეფორმები შეუცვლელად მიიღბულ იქმნას. ამნაირადვე უპასუხეს ოსმალეთს პეტერბურგში, როდესაც ცდილობდნენ, რომ რუსეთისაგან მიეღოთ ნება შეცვლისა.

ფრანკფურტი მაინზე. დაარსდა საზოგადოება ბაღდადის რკინის გზის გაკეთებისა — კონია-ერეგლი-ბურგურლუ. კაპიტალი 3,600,000 მარკაა. ზედამხედველ კომიტეტში არიან გერმანელნი, შვეიცარელნი, ავსტრიელნი და ფრანგნი.

ათინა. როცა მეფე ვენაში იყო, ურჩია ოსმალეთის ელჩს, ნუ ეწინააღმდეგება რეფორმათა სრულს შემოღებას, რათა საქმე არ გართულდესო.

სირაკუზი. მთელს პროვინციაში ძლიერი მიწის ძვრა იყო.

ჟაკსი (სპარსეთი). გემ „არგონავტზე“ სპარსეთის ყურეს არაბეთის ნაპირებზე დიდი ნადიმი გაიმართა, რომელსაც ნაპირების გამგენი დაესწრნენ. ვიცე-კოროლმა მოაგონა მათ ვალდებულებანი — არ იქონიონ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან რაიმე შეთანხმება, გარნა დიდი ბრიტანიისა, და არც მიიღონ თავისთან რწმუნებულნი რომელიმე სხვა სახელმწიფოსი.

სოფია *) მცოდნე წრეებში უარს-ჰყოფენ პორტას აზრს, ვითომ კომიტეტები ამზადებენ ჯუფთა ახალ შესავს ოსმალეთში და ვითომ ისინი ნებას არ აძლევენ ლტოლვილთ დაბრუნდნენ თავის უწინდელ ადგილებში.

პეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{1}/_{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	459 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$294^{1}/_{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
$4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	91 მყიდ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს — ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ცალკის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ— 3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ხან-ჩოკრაკისა და ჯემეთის

განთქმული ზვრებიდგან ქალაქ ანაპის ახლო (ყუბანის ოლქი, შავი-ზღვის პირათ) ისყიდება ევროპიული ჯიშის ვაზის რქა:

რისლინგისა (rieisling), რომელიც იძლევა მსოფლიოთ განთქმულს თეთრს ღვინოს იაგანისბერგს,

კაბერნესი (Cabernet), რომელიც არა ნაკლებ განთქმულს წითელ ღვინოს დაფოტს იძლევა.

ამ ვაზებს არ ავნებს რთვილი, ყინვას კარგად იტანენ დაუმარხავათ ყველგან, უხვათ მოსავალს იძლევიან ურწყავ ადგილებში და ობი (Mildiu) და ნაცარი (oidium) ნაკლებათ ვნებს, ვინემ საქართველოს ჯიშის ვაზებს, თუნდა საფეროვს, როგორც დაკვირვებიდგან ვხედავ ზემოხსენებულ ვენახებში.

მეტადრე ვურჩევ ქართლ-კახელ მევენახეებს.

ფასი:

ათასი რქა	4 მან.
ათი ათასი	35 მან.
ასი ათასი	300 მან.

შეიძლება მეტის დაკვეთაც ამ ფასების დაგვარათ პირველ დეკემბრამდე. ვგზავნი პირველ მარტიდგან. გაგზავნის ხარჯი მყიდველისაა. ბეი ერთი მესამედი. ადრესი ასე: **Анапа (Кубанск. области) Контора садовъ Ханъ-Чокрака и Джемети, Ю. Л. Пиленко.**

უფროსი მევენახე „ხან-ჩოკრაკისა“ და „ჯემეთის“ ზვრებისა ვასილ ბიბილაშვილი.

(10—6—3)



საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სარეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-**Eugènie** თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-**Eugénie** (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყვრებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ემჩნევა არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწმენდად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ხნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ სალებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეინახავს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელ ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებს, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.-იდან, № 233 1901 წ. (40—40)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-დადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ, Общество распростр. грамотности.**

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველგვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: **Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.**

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვის ამხანაგობა

მოსკოვი 1882 წ.

ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: **Тифлисъ. Дитятковское Товарищество.**

ტელეფონი № 66.

(30—6.—30)

---

*) ოპოზიციონურ წრეებიდან.

озволено цензурою тифлисъ 13 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-гри. семинаріи
დროებით რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.